

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დავით იშხნელის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდი: - 2015 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების
და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 30 სხდომა (12 რიგითი და 18 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 28 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 51 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის მიერ ჩატარდა 13 სხდომა

- სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარდა - 13 სხდომა

დავესწარი - 13 სხდომას

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 9 სხდომა

დავესწარი ფრაქციის - 8 სხდომას

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2016 წლის პროგრამების დამტკიცება
(სოციალური და ჯანდაცვის);

- „საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახელმწიფო პროგრამის დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსებაზე მუნიციპალური პროგრამის თაობაზე

- **საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

როგორც საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი ჩართული ვარ აღნიშნული კომისიების საქმიანობაში განსახილველად გამოტანილ საკითხებზე სათანადო დასკვნების შემუშავებაში. სოციალურ საკითხთა კომისიამ მოაწყო გასვლითი შეხვედრები ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებულ სამედიცინო დაწესებულებებში (ფსიქიატრიული, ბავშვთა ინფექციური, სასწრაფო, მეტალურგთა საავადმყოფო, სამშობიარო, ქალაქის საავადმყოფო, 1 დიაგნოსტიკური, რუსთავის ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი), შეხვედრის შედეგად მოხდა გამოთქმული პრობლემებისა და წინადადებების მერიის შესაბამის სამსახურებამდე მიტანა.

ხოლო როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს სხდომებზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა უმუშევრობას, მცირე შემოსავალს, სოციალური დახმარებების მოხსნას, პროგრამებში ჩართვას და სხვა, ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.